# თანამედროვე თურქეთის კავკასიური პოლიტიკის გავლენა საქართველოზე

***ნინო გომართელი***
*სტუ-ს პროფესორი*

***თამარ ხოხობაშვილი***
*სტუ-ს პროფესორი*

**აბსტრაქტი**

თურქეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს სწორი და პროაქტიული პოლიტიკა წარმოადგენს. თურქეთი ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეშია, რომ მსოფლიოში (კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში) არსებულ ურთულეს ვითარებაში ძალზედ მნიშვნელოვანია საკუთარი ინტერესების დაცვა, როგორც უსაფრთხოების, ისე სავაჭრო ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. არსებულ გეოპოლიტიკურ სიღრმეში იკვეთება მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორების გავლენები, ინტერესები, მიზნები. თურქეთი თავადვე წარმოადგენს საკუთარი გეოპოლიტიკური სივრცის ცენტრს. ამ ქვეყანამ პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად და რეგიონში ლიდერის როლის დასამკვიდრებლად უკვე მოიპოვა მნიშვნელოვანი გავლენა მეზობელ რეგიონებში - ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში. თურქეთს გააჩნია მრავალმხრივი რეგიონალური იდენტობა და იმავე დროს აქვს შესაძლებლობა და პასუხისმგებლობაც, აწარმოოს ინტეგრირებული და მრავალგანზომილებიანი საგარეო პოლიტიკა. ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს კონფლიქტების გადაწყვეტაში, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებში. თურქეთი ახერხებს საკუთარი გავლენის სფეროების ჩამოყალიბებასა და რეგიონალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას, ცდილობს იმოქმედოს საკუთარი ინტერესების შესაბამისად, რაც ეტაპობრივად განაპირობებს გახდეს მსოფლიო პოლიტიკური ასპარეზის მნიშვნელოვანი მოთამაშე.

უაღრესად მნიშვნელოვანია თურქეთის ადგილი და როლი მსოფლიოს ახალ საერთაშორისო წესრიგში. მრავალ ცენტრად დაყოფილ მსოფლიოზე უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლიათ რეგიონალურ ლიდერებს (მათ შორის, გამორჩეულია თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი), რომლებიც საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. თურქეთის, როგორც საერთაშორისო და რეგიონალური ლიდერის როლი წლების განმავლობაში იზრდებოდა, ხოლო რუსეთ-უკრაინის ომმა, მას, როგორც მედიატორს სრულიად ახალი ძალა და ავტორიტეტი შესძინა, რამაც, ფატობრივად, საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე თურქეთის როლის დამკვიდრება განაპირობა.

თურქეთის პოლიტიკა ყოველთვის ეფუძნებოდა სხვადასხვა აქტორთან ერთდროულად კარგი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებას - მულტიპოლარულ პოლიტიკას. თურქეთი ცდილობს განიმტკიცოს შავი ზღვისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ლიდერის პოზიცია, იგი დაინტერესებულია ეგრეთ წოდებული „შუა დერეფნის“ ინიციატივით, მოსაზღვრე რეგიონებში პოლიტიკური და ეკონომიკური ალიანსების სისტემის შექმნით, მათთან სავაჭრო თანამშრომლობის გაღრმავებით, უვიზო გადაადგილებების ზონების შემოღებით. ქვეყანა, ასევე, ცდილობს შეასრულოს ენერგეტიკული ჰაბის როლი, ყოველივე ეს თურქეთს დაეხმარება გაზარდოს გეოპოლიტიკური ძალა და აქტიური როლი შეასროლოს, როგორც რეგიონული, ასევე, გლობალური კონფლიქტების მოგვარებაში.

უკანასკნელ პერიოდში თურქეთის მიერ განხორციელებული ქმედებები ერთიანი სტრატეგიული ხედვის რეალიზების ნაწილია. დღეს თურქეთი წარმოადგენს მნიშვნელოვან დამოუკიდებელ ძალას, რომელიც მეზობელ რეგიონებში ცდილობს საკუთარი ინტერესებისა და უსაფრთხოებისათვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს, რომ თურქეთის დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან რეგიონულ ძალად ფორმირება ობიექტურ რეალობას წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები**: გეოპოლიტიკა, რეგიონალური ლიდერი, მედიატორი, მულტიპოლარული პოლიტიკა, გლობალური კონფლიქტები.

## THE IMPACT OF MODERN TURKISH CAUCASIAN POLICY OF GEORGIA

**Nino Gomarteli**
Professor of GTU
**Tamar Khokhobashvili**
Professor of GTU

**ABSTRACT**

Considering the geopolitical situation and existing challenges of Turkey, one of the main instruments for protecting the country's national interests represents

a correct and proactive policy. Turkey is in such a geopolitical space that, especially in the Middle East, protecting its interests in terms of security, trade economics, and political perspectives is crucial. In the depths of the geopolitical dimension, significant international actors' influences, interests, and goals are intertwined. Turkey itself acts as the center of its geopolitical space. This country has already established a significant influence in neighboring regions— the Balkans, the Near East, and the Caucasus—for consolidating its political positions and securing a leadership role in the region. Turkey possesses a multifaceted regional identity and, at the same time, has the capacity and responsibility to produce an integrated and multilevel foreign policy. The country actively participates in resolving conflicts and promoting international peace and security processes. Turkey manages to shape its spheres of influence and actively participate in regional political life, striving to act according to its own interests, which, sequentially, qualifies it as an important player in global political areal. The position and role of Turkey in the new international order are highly significant. It can greatly influence the world through regional leaders (including Turkey's President Recep Tayyip Erdoğan), who act based on their own geopolitical interests. Over the years, Turkey's role as an international and regional leader has grown, and the Russia-Ukraine conflict has granted it new power and authority as a mediator, which, effectively, has cemented Turkey's role in the international political arena.

Turkey's politics have always been based on establishing strong economic and political relationships simultaneously with various actors—a multipolar policy. Turkey is striving to assert its leadership position in the Black Sea and Eastern European countries, showing interest in the so-called "Middle Corridor" initiative by creating political and economic alliances in border regions and deepening trade cooperation through visa-free zones. The country also aims to fulfill the role of an energy hub, which will help Turkey increase its geopolitical power and play an active role in resolving both regional and global conflicts.

In recent periods, Turkey's actions are part of a unified strategic vision. Today, Turkey represents a significant independent force that strives to create favorable conditions for its interests and security in neighboring regions. Georgia should consider that Turkey's formation as an important and independent regional power represents an objective reality

* * * *

საერთაშორისო პოლიტიკაში დასავლეთის ქვეყნების პერმანენტულმა დასუსტებამ განაპირობა არადასავლური ქვეყნების მნიშვნელობის ზრდა. ამ პროცესმა თურქეთს მისცა მეტი სივრცე აქტიური საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად.

თურქეთის ძირითადი პოლიტიკა მიმართულია რეგიონულ ცენტრად და მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისაკენ. თურქეთი ერთადერთი სეკულარული და დემოკრატიული ქვეყანაა ისლამური სამყაროდან, რომელიც როგორც ევროპულ, ასევე, აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარებას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ისტორიულად აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის განვითარებაზე თურქეთმა დიდი გავლენა მოახდინა. რაც შეეხება კულტურას, მისი როლი რეგიონზე დღესაც შეინიშნება.

აღსანიშნავია, რომ უნიპოლარული საერთაშორისო წესრიგის ცვლილება, თავის მხრივ, ნიშნავს თურქეთზე აშშ.-ს გავლენის შემცირებას. მულტიპოლარულ მსოფლიო წესრიგში განსხვავებულ რეგიონებს და ქვეყნებს საკუთარი ინტერესები, ღირებულებები და ამოცანები გააჩნიათ. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში აშშ. ცდილობდა შეექმნა იდეალური უნიპოლარული საერთაშორისო წესრიგი, თუმცა, უკანასკნელ პერიოდში აშკარად შეიმჩნევა ამერიკული სისტემის დეფორმაცია და მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტების აზრით, რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე უნიპოლარულმა მსოფლიო წესრიგმა დაკარგა მნიშვნელობა და გამოჩნდა საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტორი გაეროს უშიშროების საბჭოს უუნარობა. თურქეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ჭირდება უსაფრთხოების სისტემის ცვლილება, თურქეთი წარმოადგენს სხვადასხვა კონტინენტების, ცივილიზაციების, რელიგიების, ერთგვარ გზაჯვარედინს, რაც მას საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს აკისრებს. თურქეთს წარმატებულმა მედიაციის პროცესმა შესაძლებლობა მისცა ხმამაღლა და თამამად მულტიპოლარულ საერთაშორისო წესრიგში საკუთარი ამბიციების შესახებ განეცხადებინა. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს და ორგანიზაციებს, ისევე, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებს არა აქვთ უნარი შეაჩერონ ევროპის კონტინენტზე მიმდინარე სისხლისმღვრელი ომი. აღნიშნულ პროცესში შუამავლის როლი იკისრა თურქეთმა. პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი თავის გამოსვლებში და განცხადებებში ხშირად საუბრობს სრულიად ახლებურ საერთაშორისო წესრიგის შექმნის აუ-

ცილებლობაზე და მასში მოიაზრებს საკუთარ სახელმწიფოსაც: „ჩვენ ვუცხადებთ მსოფლიოს, რომ ჩვენი ქვეყანა არის არა მხოლოდ მოთამაშე, არამედ თამაშის შემქმნელი“, აცხადებს იგი.

თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანს აქვს უნარი და შესაძლებლობა რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას პერსონალური დიპლომატია გაატაროს. პრეზიდენტი ერდოღანი ჭეშმარიტად ითვლება ძლიერ პოლიტიკურ ლიდერად და მნიშვნელოვან სუბიექტად, არა მარტო რეგიონის, არამედ მსოფლიო მასშტაბისას. მას შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე მოვლენებზე და გადაწყვიტოს მსოფლიოში მთელი რიგი მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო პოლიტიკური საკითხები. მისი მიზანია რეგიონში შექმნას მშვიდობიანი, სტაბილური და უსაფრთხო გარემო. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მისი ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღოს არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე თურქეთის კავკასიური პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოზე, მისი ისტორიული პროცესის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების წარმოჩენა უაღრესად აქტუალურია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელი სამყარო სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დადგა და შესაძლებელი გახდა განვითარებულიყო თანამშრომლობა რეგიონულ დონეზე. თანამედროვე პერიოდში უაღრესად მნიშვნელოვანია შავი ზღვის უსაფრთხოება, რომელიც ევროპა-აზიის შემაკავშირებელ როლს ასრულებს. პოსტსაბჭოთა კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაჩენამ გადამწყვეტი როლი ითამაშა თურქეთის რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, მოხდა თურქეთის საგარეო პოლიტიკური პრინციპების გადახედვა და შესაბამისად, შეიცვალა მისი მიდგომები კავკასიასთან მიმართებაში. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში თურქეთს კავკასიასთან გარკვეული ინტერესები გაუჩნდა და განიზრახა რეგიონის ლიდერად წარმოჩენა. თურქეთმა შეძლო ახალი ბაზრების მოძიება, დაინტერესდა საწვავის მოპოვებით და შეეცადა საკუთარი ტერიტორიის გავლით ევროპაში მის ტრანსპორტირებას.

თანამედროვე ეტაპზე შავი ზღვის რეგიონი უფრო დინამიკური და მეტად ღირებული გახდა რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების და მასში შემავალი ქვეყნების შემდგომი ეკონომიკური ზრდის და განვითარების თვალსაზრისით, რამაც გამოიწვია არაერთი ქვეყნის დაინტერესება და სხვადასხვა გზით მასზე გავლენის მოპოვების მცდელობა. მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანამშრომლობა რეგიონის უსაფრთხოების გარანტიაა, რაც საქართველოსთვის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას წარმოადგენს. საქართველოსთან თურქეთთან გააჩნია პოზიტიური და კონსტრუქციული ურთიერთობები, რადგან პოლიტიკური კავშირების გარდა ეს ქვეყნები მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორებს წარმოადგენენ. თურქეთის ერთ-ერთი მიზანია რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის შესუსტება კავკასიაში.

თურქეთისათვის შავი ზღვის რეგიონს სატრანსპორტო, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული მნიშვნელობა ენიჭება. თურქეთის სულ უფრო მეტად განიხილავს საქართველოსა და აზერბაიჯანს, როგორც რგოლს იმ გეოპოლიტიკურ ჭრილში, სადაც, ანკარა შეძლებს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური მიზნების დაბალანსებას. თურქული სტრატეგიის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ რეგიონში სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გადადგმული ნაბიჯები. თურქეთი აპირებს შავი ზღვის აუზსა და კავკასიის რეგიონში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულებას, რათა დააბალანსოს აღნიშნულ სივრცეში რუსეთის გავლენა. საქართველოსთვის შავი ზღვა ერთადერთი შეხების წერტილია ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან, რომელშიც ინტეგრაცია მისი საგარეო პოლიტიკური ამოცანა. საქართველოს სურვილი, იქცეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ნაწილად, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მას სურს თავი დააღწიოს რუსეთის გავლენას.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ თანამედროვე ეტაპზე თურქულ-ქართულ ურთიერთობებს. თურქულ-ქართული ურთიერთობების გაგრძელებას და სამომავლო გეგმებს დიდი მნიშვნელობა და პერსპექტივა აქვს, როგორც მოცემული ორი ქვეყნისთვის, ისე რეგიონისთვის. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტი შეიძლება იყოს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა. ურთიერთობების მეტად გაღრმავებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში აქტიური მონაწილეობა.

საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და არსებული შესაძლებლობების ფარგლებიდან გამომდინარე დიდად არის დამოკიდებული რეგიონში მიმდინარე პროცესების განვითარებაზე, ეს განსაკუთრებით იმ პროცესებს ეხება, რომლებიც საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ვითარდება. მეზობელ სახელმწიოფოებში მიმდინარე ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა სფეროზე ახდეს გავლენას. იქნება ეს უსაფრთხოების პოლიტიკა, თუ ეკონო-

მიკის სფერო. ამ მხრივ, განსაკუთრებითმ მნიშვნელოვანი სახელმწიფოა თურქეთი, რომლებთანაც დღეს ურთიერთობა აღმავალი ხანით ვითარდება. 90-იანი წლებიდან მოყოლებული ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძირითადად თურქეთის მხრიდან საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენაში გამოიხატებოდა, რაც თავის მხრივ, რეგიონში თურქეთის ინტერესებითაც იყო განპირობებული. საბჭოთა კავშირის დაშლამ თურქეთს კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში ურთიერთობის განმტკიცების შესაძლებლობა მისცა, რაც ანკარამ რეგიონის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გამოიყენა.

საქართველო ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, რადგანაც აზერბაიჯანთან და ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელი ხიდია. გარდა ამისა, თურქეთს საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობა ერთ-ერთ პრიორიტეტად ესახება. თურქეთი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კავკასიური პოლიტიკის გააქტიურების საკითხს, რაც თავის მხრივ, მასში საქართველოს მონაწილეობას გულისხმობს. ისეთი მასშტაბისა და პოტენციალის მქონე სახელმწიფო, როგორიც თურქეთია საქართველოს მსგავს პატარა მეზობლებზე ყოველთვის მოახდეს გავლენას, რაც ამ ქვეყნებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის აღმოჩნდეს. განვლილმა დრომ აჩვენა რომ მთელი რიგი ქვეყნები ორმხრივ კავშირებში ურთიერთსარგებლის მიღებას ცდილობენ.

თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს წამყვანი რეგიონული პარტნიორია, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ჩამოყალიბებას სტაბილურ და ძლიერ სახელმწიფოდ. საქართველო-თურქეთის ურთიერთობები სტრატეგიული ხასიათისაა, ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს ვაჭრობის, ეკონომიკის, ენერგეტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროები. მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში, ასევე, როგორც მისი დახმარება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში და ქართული არმიის მშენებლობის საქმეში. აუცილებელია ეკონომიკური დიპლომატიის გააქტიურება, რაც ხელს შეუწყობს სასურველი საგარეო პირობების ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანი საკითხი, რამაც გავლენა იქონია საქართველო-თურქეთის თანამედროვე ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და დაახლოებაზე არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის განხორციელება. საქართველო თურქეთის რესპუბლიკაში ხედავს სტრატეგიულ პარტნიორს, როგორც ევროპაში გასასვლელ გზას, ნატოს წევრ ქვეყანას და სტაბილურ მეზობელს. რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მილსადენების პოლიტიკაში საქართველოსა და თურქეთს მსგავსი პოზიციები ჩამოუყალიბდათ. ამ შემთხვევაში, თურქეთის ინტერესების დაცვა საქართველოს ინტერესების დაცვასაც გულისხმობს. პერსპექტივაში საქართველო და თურქეთმა კასპიის ზღვის ენერგო რესურსები თავიანთი ტერიტორიების გავლით ევროპას უნდა მიაწოდონ. მომავალში ნებისმიერი პროექტის განხორციელებაში თურქეთი თავისი ინტერესების დაცვას შეეცდება, რამაც საქართველოს სასარგებლოდაც უნდა იმოქმედოს. კავკასიასთან და ცენტრალურ აზიასთან თანამედროვე სატრანსპორტო ხაზების დაკავშირება საქართველოზე თავისთავად პოზიტიურ გავლენას მოახდენს.

ენერგეტიკის კუთხით, საქართველოში თურქეთის ინვესტიციებით შენდება ახალი ჰიდროელექტროსადგურები და გადამცემი ხაზები, ხოლო საქართველო თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტს ახორციელებს. ასევე, მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის თანამშრომლობა გაზისა და ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირების სფეროშიც. თურქი ინვესტორების მხრიდან საქართველოს ეკონომიკისადმი ინტერესი იზრდება, რაც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ტექსტილის წარმოება. დიდი თურქეთის გავლენა, როგორც შავი ზღვის რეგიონზე, ისე საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობასა და დამოკიდებულებაზე. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთინტერესებზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამყარებას, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

თანამედროვე თურქეთის ურთიერთობების, მისი პოლიტიკის შედეგად რეგიონში, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები, საჭიროებს ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას იმისთვის, რომ ქვეყანამ შეძლოს ურთიერთობები მეზობელ და მის პარტნიორ ქვეყნებთან. არსებული საფრთხეების საპასუხოდ, სხვა ქვეყნებთან ალიანსში შესვლა და თანამშრომლობა ჩვენმა ქვეყანამ ერთ-ერთ ამოცანად უნდა დაისახოს. აუცილებელია ძლიერი ინსტიტუციური მხარდაჭერა იმ ფორუმებზე, რომელთა წევრიც საქართველოა. მაგალითად ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება, აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალგანზომილებიანი პროექტები, ნატო-საქართველოს კომისია, ევროპის საბჭოს, ეუთოს,

გაეროს პლატფორმები, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და სხვ.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი საერთაშორისო პოლიტიკური კონცეფციის აღება, რომელიც არ გამორიცხავს სხვადასხვა დონეზე რეგიონული თანამშრომლობის არსებობას, საჭიროა შეიქმნას რეგიონული გაერთიანება, სადაც საქართველო მონაწილეობას მიიღებს რეგიონულ ინტეგრაციებში. მშვიდობიანი თანამშრომლობა არის რეგიონის უსაფრთხოების გარანტი, რაც საქართველოსთვის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას გვაძლევს. საქართველოს თურქეთთან უნდა ჰქონდეს პოზიტიური და კონსტრუქციული ურთიერთობები, რადგან ორივე ქვეყანა ითვლება, როგორც პოლიტიკურ, ასევე, ეკონომიკურ საიმედო პარტნიორად.

თურქეთის მიერ განხორციელებული ქმედებები ერთიანი სტრატეგიული ხედვის რეალიზების ნაწილია. დღეს თურქეთი წარმოადგენს მნიშვნელოვან დამოუკიდებელ ძალას, რომელიც მეზობელ რეგიონებში ცდილობს საკუთარი ინტერესებისა და უსაფრთხოებისათვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს, რომ თურქეთის დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან რეგიონულ ძალად ფორმირება ობიექტური რეალობაა.

**REFERENCES:**


1. Batraway, A. (2022, Sep 20). PBS News. Retrieved from https://www.pbs.org/newshour/world/watchturkish-president-recep-tayyip-erdogan-addresses-the-2022-united-nations-general-assembly
2. D'Angelo, M. (2022, March 30). The Conversation. Retrieved from https://theconversation.com/ukrainewar-turkeys-unique-role-in-peace-negotiations-180265
3. Eldem, T. (2022). Explaining Turkish foreign policy moves in the context of Russia's war against Ukraine. Centre for Applied Turkey Studies, 2.
4. Georgios C. Baltos, I. G. (2017, November). Turkey's Ambitions to Emerge as a Regional Power: Example or Counter-Example for Potential Aspiring Competitors. Vol 6 No 3, pp. 33-46.
5. GÖKMEN, K. (2022). THE TURKISH – UKRAINIAN RAPPROCHEMENT IN THE MILITARY DEFENCE FIELD IN THE SCOPE OF THE BLACK SEA REGION. MIDDLE EAST TECHNICAL UNIVERSITY.